დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **ლელა ჯაში**
წევრები:
ნინო ფაილოძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ხათუნა დუგლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დავით ბოლქვაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ავალიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
თეონა ჯაფარიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
მაკა ინაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ავთანდილ კეჭაყმაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ელენე ბეთლემიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404989704

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის ქ. 18, ბინა 65
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი 34
საფოსტო ინდექსი	0160
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.logos.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@logos.org
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(+995 32) 2 37 63 03

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება MES 5 23 0000770001, 27/06/2023 - ,, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში ვიზიტის შესახებ".
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17 და 18 ივლისი, 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი N34
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი N34
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო -X-XII კლასები.	ქართული ენა	ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი N34

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში საავტორიზაციო ვიზიტი ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. განხორციელდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
480	**478**	**580**

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურსდამთავრებულები, ზოგადი განათლების დასრულების შემდგომ, სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას საქართველოს და უცხოეთის წამყვან უნივერსტეტებში. სწორედ სკოლის ხელშეწყობით ხორციელდება მათი პროფესიული ორიენტაცია და მხარდაჭერა. სკოლის აკადემიური პროგრამა და ,,College Counseling'' კურსი, უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარებისა და ცოდნის მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას.

სკოლის ადმინისტრაციას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ მოსწავლეთა მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობა (განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე) დადებითად აისახება მათ განვითარებაზე. სკოლაში მშობელთა ჩართულობა არ მოიაზრებს მათ მონაწილეობას მხოლოდ განსაკუთრებულ ღონისძიებებში - ჩართულობა გამოიხატება კომუნიკაციაში მშობლებისთვის ხელმისაწვდომი ფორმებით (მათ შორის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას), მათთან მუდმივი დიალოგით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულება განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებაზე და არაფორმალურ განათლებზე, რომელიც მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას უწყობს ხელს. უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. მრავალფეროვანია და მოსწავლეთა ინტერესებზეა მორგებული დამატებითი საგანმანათლებო მომსახურების ჩამონათვალი და შინაარსი. მაგალითად, სკოლაში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობენ რობოტიკას, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამირებადი რობოტების კოდირება. მოსწავლეთა ცენტრის ძირითადი ამოცანაა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება მოსწავლეთა პრაქტიკული უნარებისა და თეორიული ცოდნის განვითარებისთვის.

დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კვლევაზე დაფუძნებული, შეჯერებული გადაწყვეტილებების მიღება. მრავალფეროვანი, სხვადასხვა შინაარსის კითხვარები გამოიყენება პროცესების შეფასების და დახვეწისთვის. კმაყოფილების კითხვარის ნიმუშები, სარკისებური კითხვარი - მინიმალური ცდომილებით წარმოაჩენს თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს მუშაობა სკოლაში სხვადასხვა მიმართულებით.

სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა დოკუმენტაციის წარმოების მაღალი კულტურა - დაწესებულებაში მოქმედი დებულებები, წესები, საკანონმდებლო აქტები, შეხვედრების ამსახველი ოქმები თუ, ანგარიშგების ამსახველი ჩანაწერები - სტრუქტურირებული და გამართულია, ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია სკოლის შინაარს.

სკოლა მუდმივ დიალოგშია მოსწავლეებთან და პატივს სცემს მათ გადაწყვეტილებას, ითვალისწინებს მათ პოზიციას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. როგორც მოსწავლეებთან ინტერვიუირების დროს გაირკვა, სწორედ მათი მომართვის საფუძველზე მოახდინა სკოლამ ფინალური გამოცდების წესის კორექტირება. კერძოდ, კონკრეტულ დისციპლინაში უმაღლესი შეფასების მქონე მოსწავლეებს ამ საგანში აღარ უწევდათ გამოცდის ჩაბარება.

საინტერესო და მამოტივირებელია სკოლის ფიზიკური გარემო - შენობის შიდა კედლები მოხატულია, საკლასო ოთახები ეწყობა მოსწავლეთა გემოვნებით. ნამუშევრები უხვად არის წარმოდგენილი განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე. მოსწავლეთა მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შექმნილი სხვადასხვა რესურსი - დიორამები, ხელნაკეთი წიგნები, თემატური გამოფენები და დეკორირებული კედლები დადებითად აისახება მათ განწყობაზე და განვითარებაზე.

და ბოლოს, ნიშანდობლივია, რომ სკოლის მიერ შედგენილი წესები, მექანიზმები თუ საკანონმდებლო აქტები, ზუსტად წარმოაჩენენ სკოლაში მიმდინარე პროცესებს და რეალურ ასახვას ჰპოვებენ სასკოლო ცხოვრებაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:
580</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება
☒</td><td rowspan="2">აღწერა
(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება
☐</td></tr>
</table>

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*დაწესებულებამ მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;* *დაწესებულებამ უზრუნველყოს დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილ შესაბამისობი გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.07.2023-20.07.2024).***

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 3.6.2.2	*სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება სკოლის მართვისას.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.07.2023-20.07.2024).***
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;*	*სკოლის ფილოსოფიის რევიზირებისას, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ, სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობი უზუნველსაყოფად, მოახდინოს გამოკითხვის ინსტრუმენტის ფორმატის კორექტირება და მისცეს საშუალება რესპონდენტებს არა მხოლოდ არჩევანის, არამედ, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების.*
ინდიკატორი 1.2.1.1	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;*	*სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების რევიზირებისას/შედგენისას, მიზანშეწონილია, დაწესებულებამ, სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზუნველსაყოფად, მოახდინოს გამოკითხვის ინსტრუმენტის ფორმატის კორექტირება და მისცეს საშუალება რესპონდენტებს არა მხოლოდ არჩევანის, არამედ, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების.*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;*	*სასურველია დაწესებულებამ, შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის „თვის საუკეთესო მოსწავლის“, „სემესტრის საუკეთესო მოსწავლისა“ და „წლის საუკეთესო მოსწავლის“ წოდების მინიჭების შესახებ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

		დებულებაში, აქცენტირება მოსწავლეთა ,,აკადემიურ პროგრესზე" გააკეთოს.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

• რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" (3.4.1.1; 3.6.2.2), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი,,, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

• ინდიკატორი 3.1.2.3 - შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო - და ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია მოსწავლეების მხარდაჭერა საქართველოს და მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მისია ზედმიწევნით ასახავს დაწესებულების დანიშნულებას, გამოხატავს მის იდენტობას.

ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს სკოლის მისიის შინაარსობრივი ნაწილი. კერძოდ, მათ კითხვით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციის წევრებს, რამდენად ასახავდა მისია იმ მოსწავლეების პოზიციას, რომლებმაც მიუხედავად მათი (ან, მათი მშობლების) მისწრაფებისა, არ შეაჩერეს არჩევანი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგძელებაზე და გადაწყვიტეს დაუფლებოდნენ სახელობო პროფესიას, რომელიც რიგ შემთხვევებში, უფრო ხელმისაწვდომს ხდის მათი კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. სკოლის ადმინისტრაციის

განმარტებით, დეკლარირებული მისიის მეორე ნაწილი - სკოლის მოსწავლეები მომზადებულნი იქნებიან ,,შემდგომი წარმატებული ცხოვრებისა და პროფესიული მოღვაწეობისათვის“ სწორედ ზემოაღნიშნული მოსწავლეების ინტერესებს ასახავდა. სკოლის ხედვაც, თამამი განაცხადია დაწესებულების მხრიდან და ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული ინტერესების და მისწრაფებების დაკმაყოფილებას მრავალი მიმართულებით. ზემოაღნიშნულის მიღწევას სკოლა გეგმვას კურიკულუმის ფარგლებში, რაც, თავისთავად, ამ უკანასკნელის (კურიკულუმი) განვითარებით და სრულყოფით იქნება შესაძლებელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მისია და ხედვა ასახავს სკოლის როლს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების მიმართულებით და ხელს უწყობს მოსწავლეებს ,,საკუთარი შესაძლებლობების გააზრების, თვითშემეცნებისა და თვითრეალიზების უნარების“ მქონე ახალგაზრდებად ჩამოყალიბებაში. სკოლის ხედვაც, მისიასთან ერთად, განსაზღვრავს საკუთარ როლს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის ფილოსოფიის შედგენა განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით N1/24, 05.04.2023წ. შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა აწარმოა მასშტაბური, ელექტრონული გამოკითხვა, რომლის საფუძველზე შეიქმნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. ექსპერტებმა დეტალურად განიხილეს ის კითხვარები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა სკოლის ფილოსოფია. როგორც გაირკვა, საკვლევი საკითხებიდან ერთ-ერთი ითვალისწინებდა რესპონდენტების მიერ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად მიზნების გამოკვეთას. კერძოდ, 8 (რვა) მიმართულებიდან რესპოდენტს უნდა აერჩია 3 (სამი), მისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი. აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული მიმართულებები მოიცავდა ძირითად საკითხებს, რომელიც შესაძლებელია გაეთვალისწინებია სკოლას პროგრამების შედგენისას. თუმცა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კითხვარის ფორმატი არ იძლეოდა საშუალებას, პირს (მშობელი, მოსწავლე, სკოლის წარმომადგენელი) დაეფიქსირებინა თავისი, თუნდაც განსხვავებული პოზიცია და შეეთავაზებინა ის დაწესებულებისთვის. ექსპერტებმა რჩევით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, სკოლის ფილოსოფიის რევიზირებისას, გამოკითხვის ფორმატის კორექტირების საკითხთან დაკავშირებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფია გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოებისთვის. კერძოდ, კვლევის შედეგების განხილვის საფუძველზე, შედგა გამოკითხვის ანგარიში (გამოკითხვის ანგარიში - მისის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, 18.05.2023წ.), ასევე, ჩატარდა შპს „საერთაშორისო აკადემია ლოგოსის“ ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომები (ოქმი N1, 01.05.2023წ. და ოქმი N2, 29.05.2023წ.). საბოლოოდ, ყველა ჩართულ, დაინტერესებულ პირს გადაეგზავნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ელექტრონულ ფოსტაზე. აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუირების პროცესში დაადგინეს შესაბამისობა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და რეალურად მიმდინარე პროცესებს შორის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა. კერძოდ, განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სახელწოდება შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- გენერალური დირექტორის ბრძანება შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- გამოკითხვის კითხვარები;
- კითხვარების შედეგების ანგარიშები;
- ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- გენერალური დირექტორის ბრძანება შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია'" (ბრძანება N1/23, 30.03.2023წ.), რომელიც დეტალურად აღწერს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს და პროცესში ჩართულ მხარეებს. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული იყვნენ: გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი და სასკოლო საზოგადოება (სკოლის მენეჯმენტი, ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი). სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა განხორციელდა შემუშავებული მექანიზმის შესაბამისად. ექსპერტებმა, ამ ნაწილშიც, განიხილეს სკოლის მიერ შეთავაზებული კითხვარები. რესპონდენტებს, ანალოგიურად, უნდა განესაზღვრათ სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტები სკოლის მიერ შეთავაზებული 8 (რვა) მიმართულებიდან. ექსპერტებმა ასევე, რჩევით (იხ. ინდიკატორის 1.1.1.3 აღწერილობა) მიმართეს სკოლის ადმინისტრაციას - მხარეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად გამოკითხვის ინსტრუმენტის კორექტირების თაობაზე. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიაზრებს სამოქმედო გეგმის ფორმირების ასპექტებს, კერძოდ, დოკუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თანახმად, სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიიდან. მასში ჩაშლილია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნები უფრო მცირე და შედარებით ადვილად მართვად კომპონენტებად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2023 წლის 08 ივნისის N1/53 ბრძანებით და მოიცავს 2023-2030 წლებს. ექსპერტებმა განიხილეს რამდენად ეფუძნებოდა აღნიშნული დოკუმენტი სკოლის ფილოსოფიას და დაადგინეს კორელაცია მათ შორის. მაგალითად, გეგმის პირველი სტრატეგიული მიმართულება გულისხმობს ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვას, სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდას, სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების განხორციელებას და ესადაგება სკოლის ხედვაში არსებულ დეფინიციას - მოსწავლე ,,სკოლის კურიკულუმის ფარგლებში შეძლებს დაიკმაყოფილოს და განივითაროს პიროვნული მისწრაფებები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სპორტი, ხელოვნება, გამომგონებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიები, სამოქალაქო აქტივობა, ლიდერობა, ინდივიდებსა და ჯგუფებთან კომუნიკაცია“. სტრატეგიული მიმართულება - ,,გამოცდილების და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, უცხოელი კოლეგა პარტნიორების მოწვევა,, სკოლის მისიიდან გამომდინარეობს - მოსწავლეები მომზადებულნი ,,იქნებიან, როგორც საქართველოს და მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებისათვის“ და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით N1/74, 14.07.2023წ. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების პერიოდი. ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას. მაგალითად, სტრატეგიული მიზანი ,,უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა“ ასახულია სკოლის ერთწლიან გეგმაში და მოიცავს შემდეგ ამოცანებს ,, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა“, ,,უსაფრთხოების ნორმების დაცვა“, რომელიც, თავიც მხრივ, ჩაშლილია ამოცანებად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. ექსპერტებმა დეტალურად განიხილეს სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და დაადგინეს, რომ ამოცანების შესაბამისად აქტივობები დეტალური და სტრუქტურირებულია. შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები თუ შესაბამისი რესურსები მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის მიერ განსახორციელებელ, დაგეგმილ აქტივობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გენერალური დირექტორის ბრძანება შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- გამოკითხვის კითხვარები;
- კითხვარების შედეგების ანგარიშები;
- ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- გენერალური დირექტორის ბრძანება შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამტკიცების შესახებ;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის განვითარების (შვიდწლიანი) გეგმა;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-11 მუხლი არეგულირებს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი საშუალებით: ინტერვიუ, დოკუმენტაციის შესწავლა, დაკვირვება და შეფასება, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. სტარტეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად განიხილავს საკითხს და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს შესაბამის სტატუსს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, ასევე, პედაგოგების, მშობლების და მოსწავლეების უკუკავშირის გაზიარებას. სკოლა მუდმივ დიალოგშია სასკოლო საზოგადოებასთან, ითვალისწინებს მათ პოზიციას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებთ. სკოლის ვებ. გვერდზეც შესაბამისი ველია, რომელზეც განთავსებულია ანგარიში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ, რაც, მონაცემების ხელმისაწვდომობას ზრდის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ვებ. გვერდზე შესაბამისი ველია, რომელზეც განთავსებულია ანგარიში სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების შესრულების შესახებ და დაწესებულება ამ გზით უზრუნველყოფს მათ საჯაროობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნულს ადასტურებს შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების ველი სკოლის ვებ. გვერდზე https://logos.edu.ge/.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს საერთაშორისო სკოლა ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის გენერალური დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N1/45 ბრძანებით. წესი განსაზღვრავს დაწესებულების მართვის, დასაქმებული პირების საქმიანობისა და მათზე ზრუნვის პოლიტიკას. დოკუმენტში განხილულია სკოლის სტრუქტურა და სკოლაში დასაქმებული პირების და სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები და ფუნქცია მოვალეობები. ასევე, იერარქიული დაქვემდებარება. წესი დეტალურად არის გაწერილი და აღწერს სკოლაში დასაქმებული, ყველა თანამშრომლის ფუნქციებს, მათ შორის სართულის მორიგე კოორდინატორის, მომარაგების მენეჯერის, მოსწავლეთა ცენტრის მენეჯერის და ა.შ.. ასევე, დაწესებულების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების ორგანიზების საკითხებს და პროცედურებს.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურილი ერთეულებია: პედაგოგიური საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა მასწავლებელი, კოორიდინატორი და დამრიგებელ-კოორდინატორი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ისგ ჯგუფი, მოსწავლეთა ცენტრი, მოსწავლეთა თვითმმართველობა - პრეზიდენტთა საბჭო, (რომელთა ფუნქციები, ასევე დეტალურად არის წარმოდგენილი). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მართვის დოკუმენტი იმდენად დეტალურია და აღწერს სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის ფუნქციებს. დოკუმენტის შინაარსი და წყობა, უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების პროგნოზირებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

და სტრუქტურირებას, ასევე, ანგარიშგების სისტემის ეფექტურობას. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შედგენისას, სკოლას თითოეული მიზნის მიღწევისას განსაზღვრული ჰყავს ის ადამიანური რესურსი, რომელიც ჩართული იქნება განხორციელების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო სკოლა ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით, შპს საერთაშორისო სკოლა ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია სკოლის შინაარსს. სკოლას დამტკიცებული აქვს შრომის შინაგანაწესიც, სადაც ასახულია სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შრომითი ურთიერთობის პირობები, სამსახურეობრივი მივლინება, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, განცხადების/საჩივრის განხილვა, ბრძანების გაცნობის წესი. სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებებშიც გაწერილია დასაქმებულის ვალდებულებები და უფლებამოსილებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, გარდა სკოლაში დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობებისა, განსაზღვრავს მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესაბამისად, სკოლის მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. რაც შეეხება ინტერვენციას - სკოლას ზემოაღნიშნული დოკუმენტით წინასწარ აქვს განსაზღვრული თანამშრომლის არ ყოფნის დროს, როგორ ხდება მისი ჩანაცვლება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2022 წლის 28 თებერვლის N1/13 ბრძანებით დამტკიცებულია შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც ადგენს შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. სკოლაში დაკომპლექტებულია მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია, რომელსაც ევალება კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო დოკუმენტაცია. როგორც აღმოჩნდა, კონკურსები ჩატარდა ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. ექსპერტებმა ვიზიტის დროს განიხილეს თანამშრომელთა პირადი საქმეები. **როგორც გაირკვა, მათ არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადა დასრულებულია (12.08.2023წ.) შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. ვინაიდან, სკოლის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი ადგენს სკოლაში დასაქმებული ყველა პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი კადრების დასაქმებას. ვიზიტის დროს, ექპერტებმა განიხილეს პედაგოგების მონაცემები (მინიჭებული სტატუსები) სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პედაგოგებიდან 5 მასწავლებლობის მაძიებელი, 57 უფროსი მასწავლებელი, 7 წამყვანი და 2 მოწვეული მასწავლებელი იყო. გარდა ამისა, 2 მასწავლებელი დასაქმებული იყო იმ პირობით, რომ ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის ვადაში გაივლიდა მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, ან იგივე პროგრამის დისტანციურ კურსს (ზემოაღნიშნული პედაგოგები დასაქმებულნი იყვნენ სკოლაში კონკურსის წესით, რაც დადასტურდა შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვისას). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლაში პერსონალის მართვა დამყარებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაცია და ზოგადად, სკოლის პოლიტიკა. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მეორეს მხრივ, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ფუნქციათა დელეგირებას და იერარქიულ დაქვემდებარებას, რაც ინსტიტუციური პასუხიმგებლობის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესის მე-16 მუხლი განსაზღვრავს თანამშორმელთა წახალისების ფორმებს. მათ შორისაა: გენერალური დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრის გადაცემა, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისათვის სკოლის მიერ დასაქმებულთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას ერთობლივი წახალისების ფორმა - მაგალითად, ექსკურსიის დაფინანსება. გაზიარებისთვის სკოლა იყენებს სოციალური ქსელის გვერდს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო სკოლა ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა რეგულირდება დებულებით. ჯგუფის მიზანია, სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება, მასწავლებელთა შიდა შეფასება, რაც გულისხმობს მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უკუკავშირის მაგალითებს, რომლებიც ზედმიწევნით კარგად აღწერდა დაკვირვების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს, ამავდროულად, შეიცავდა პოზიტიური უკუკავშირის ელემენტებს. გარდა აღნიშნული დოკუმენტისა, სკოლა ხარისხის უზრუნველყოფისათვის ხელმძღვანელობს სამოქმედო გეგმით (ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს 2022-2023 წლის ერთწლიანი გეგმა), რომლის ერთ-ერთი თავი არეგულირებს სკოლის მიერ პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა/განხორციელების საკითხებს. კიდევ ერთი დოკუმენტი, შპს საერთაშორისო აკადემია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ლოგოსის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომელიც აკადემიური პერსონალის შეფასებას ახდენს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს პედაგოგებს განმავითარებელ უკუკავშირს. პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში (მუხლი 7, ,,ე" და ,,ვ" ქვეპუნქტი). სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი სწორედ თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა. 42-ე მუხლი განსაზღვრავს პერსონალის პროფესიული განვითარების პრინციპებს. კერძოდ, პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სკოლა უზრუნველყოფს მათთვის პროფესიული გადამზადების კურსების სკოლაში ჩატარებას ან სასერტიფიკაციო კურსების, სასწავლო მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დაფინანსებას ან თანადაფინანსებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მენეჯმენტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე, რასაც ცხადყოფს სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია და თანამშრომლებისათვის შეთავაზებული აქტივობები. ეს პროცესები, თავისთავად, აისახება თანამშრომელთა კარიერულ ზრდაზეც. პერსონალის მართვის დოკუმენტში (მუხლი 43) სკოლის პერსონალის კარიერული წინსვლის პრინციპებია წარმოდგენილი, რომლის თანახმად, სკოლის პერსონალის კარიერული წინსვლა მიზნად ისახავს პერსონალის შენარჩუნებას, მათთვის სკოლისადმი მიკუთვნებულობის ზრდას, პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავება-გაუმჯობესებას .**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია, შესაბამისად, ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია ახალ სამუშაო გარემოსთან ეფექტურად ხორციელდება. სკოლა აცნობს მათ სკოლის ძირითად, მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში 5 მასწავლებლობის მაძიებელია, რომელთა საქმიანობას წარმართავს ტუტორი. იგი ეხმარება მასწავლებელს ინდივიდუალური საჭიროების განსაზღვრაში, უზიარებს პროფესიულ გამოცდილებას და აძლევს სათანადო რჩევებს. სკოლის პოლიტიკის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დოკუმენტში 44-ე მუხლი არეგულირებს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მართვის პოლიტიკის 42-ე მუხლი ეთმობა პერსონალის პროფესიული განვითარების პრინციპებს. აღნიშნული წესის თანახმად, დასაქმებული უფლებამოსილია დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას და მოითხოვოს მისი პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ან სკოლაში დაგეგმვა და განხორციელება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;*
- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულება;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის ბრძანების N1/88, 03.10.2022 წ. საფუძველზე, დაკომპლექტდა შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც დაევალა სასწავლო პროცესზე დაკვირვება, შეფასება განვითარებისთვის/მხარდაჭერისთვის, ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და სკოლის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება (დგინდება პირდაპირი კორელაცია ჯგუფის საქმიანობასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლთან). დაწესებულების შიდა შეფასების სისტემა ეფექტურად ხორციელდება, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც 2022-2023 სასწავლო წლის პერიოდს მოიცავდა, ასახავდა საკითხებს ისეთი თემების შესახებ, როგორებიც არის: გაკვეთილების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მონიტორინგი, სასწავლო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და ა.შ. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მონიტორინგის მიზანი პროცესების დახვეწა და შემდგომი გაუმჯობესებაა. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი (დოკუმენტი, მე -3 თავი), დეტალურად აღწერს სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზოგად პრინციპებს დემინგის მუდმივი გაუმჯობესების ციკლის შესაბამისად. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, პედაგოგიური საბჭო) მუშაობის ამსახველი მტკიცებულებების განხილვისას, ასევე იკვეთება, რომ ინსტიტუციური განვითარება სკოლის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების იდენტიფიცირებას. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები ზედმიწევნით კარგად აღწერს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. შრომის შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სასკოლო სასწავლო გეგმა (რომელთა გაცნობას თანამშრომლებისათვის სავალდებული ხასიათი აქვს) პროცესების ორგანიზებას განაპირობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალის და მშობლების უფლებამოსილება, ასევე, გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის მიერ შედგენილია მედიაციის მარეგულირებელი წესიც, რომლის მიზანია შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში მოსწავლეთა, მშობელთა და სკოლის პერსონალს შორის არსებული კონფლიქტების ისე მოგვარება, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მონაწილე მხარეთა ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დაკომპლექტების შესახებ (N1/88, 03.10.2022 წ.);
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა,
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შრომის შინაგანაწესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მედიაციის მარეგულირებელი წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კვლევაზე დაფუძნებული, შეჯერებული გადაწყვეტილებების მიღება. მრავალფეროვანი, სხვადასხვა შინაარსის კითხვარები გამოიყენება პროცესების შეფასების და დახვეწისთვის. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ეფექტური მუშაობაც, სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) მაღალი ჩართულობის საფუძველზე ხორციელდება. მშობლები, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს, დებულებებს, მარეგულირებელ წესებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ, რაც დადასტურდა ინტერვიუირების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლაში დაკომპლექტებული კოლეგიური ორგანოების ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი და სკოლის მენეჯმენტს კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ თითოეული წევრის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში არის მნიშვნელოვანი. ექსპერტები დეტალურად გაეცნენ მათ ფუნქცია-მოვალეობებს. როგორც გაირკვა, წარმოდგენილ კოლეგიურ ორგანოებში ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის საშუალება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

- შპს საერთაშორისო აკადემის ლოგოსის პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის საგნობრივი კათედრების დებულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა ცენტრის დებულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

შეფასება

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის უსაფრთხო გარემო. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებს დაცვის სამსახური, რომელიც შედგება დაცვის სამსახურის უფროსის, დაცვის წევრებისა და სართულის მორიგე კოორდინატორისგან. დაცვის სამსახურის უფროსი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ნორმატიული აქტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით”, სკოლის შინაგანაწესით, გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებითა და მითითებებით. სკოლამ პირველადი დოკუმენტაციის გადმოგზავნისას წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა აღჭურვილია სახანძრო ინვენტარით, ასევე, დაკომპლექტებულია საგანგებო შტაბი, მას **არ აქვს წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.**

ასევე, სკოლას არ წარმოუდგენია შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, გაცემული შესაბამის სფეროსი აკრედიტებული ორგანოს მიერ. ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის სამედიცინო კაბინეტი, განიხილეს ექიმის პირადი საქმე. როგორც გაირკვა, სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე, **სკოლამ უნდა განახორციელოს ექთნის საშტატო ერთეულის დამატება** (ვიზიტის პერიოდში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა შესარჩევი კონკურსი). გარდა ამისა, **სკოლის მიერ წარმოდგენილ თანამშრომელთა ხელშეკრულებებში არ იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება. მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული სპეციალისტის დასაქმება დაწესებულებაში (რჩევა).**

სკოლამ უზრუნველყო ექთნის საშტატო ერთეულის დამატება. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.07.2023-20.07.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.

2. დაწესებულებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომლითაც ხელმძღვანელობს. სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, დაცვის სამსახურის ერთ-ერთი მოვალეობაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. დაწესებულება მკაცრად აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების გადაადგილებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებაში დასაქმებული ფსიქოლოგი მონაწილეობას იღებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაში, მოსწავლეთათვის განმავითარებელი და მაკორექტირებელი პროგრამების შემუშავებაში და დაგეგმვაში, მათი ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ექსპერტები სკოლაში ვიზიტის დროს გაესაუბრნენ სკოლის ფსიქოლოგს. როგორც გაირკვა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შემთხვევების მართვა ყველა კონკრეტულ სიტუაციაში განსხვავებული და ინდივიდუალურია, რაც, პროცესის ინკლუზიურობას განაპირობებს. სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დასუფთავების თანამშრომლები, ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლის ექიმი. დასუფთავების თანამშრომელი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს: სააქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების შესაბამისად - ,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'', სკოლის შინაგანაწესით, გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებითა და მითითებებით (საფუძველი: სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, შრომითი ხელშეკრულება). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2022 წლის 03 ოქტომბრის N1/97 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. წესი არეგულირებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულებასა და სკოლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში, სადაც მე-12 მუხლი არეგულირებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. როგორც აღინიშნა, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომლის თანახმად, მონაცემთა დამუშავებისას დაცულია შემდეგი პრინციპები: დამუშავების პროცესის უსაფრთხოდ მიმდინარეობა, მათ შორის უსაფრთხოების ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების დაცვა. ასევე, აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, მონაცემები უნდა შეგროვდეს კანონიერი საფუძველით, სკოლა ვალდებულია დაიცვას მის ხელთ არსებული მონაცემები შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. ასევე, მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად და ბოლოს, სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს მონაცემთა სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების თანახმად, სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ადევნოს თვალი უფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა დამუშავებას. მათ შორის, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სამედიცინო დახმარების და სანიტარულ-ჰიგიენური დახმარების წესები;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- ექიმის ხელშეკრულება;
- ფსიქოლოგის ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსს გამსახურდიას გამზირზე N34-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობის უფლებით, გადაეცა 2029 წლის 1 ივლისამდე. შენობის საერთო ფართია 3113.30 კვ.მ., ეზოს - 312,20 კვ.მ. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ზაფხულში დასრულდება სკოლას ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. ვიზიტის მიმდინარეობისას ქსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის შენობა, მისი ძირითადი და დამხმარე სივრცეები. სკოლის შენობა 4 სართულიანია. პირველ სართულზე განთავსებულია დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახების (სულ 8), ასევე, ექიმის კაბინეტი და სასადილო. მეორე სართულზე საკლასო ოთახები, სასადილო, ადმინისტრაციის და IT სამსახურის კაბინეტები, უცხოური ენების განაყოფებისთვის განკუთვნილი დამხმარე ოთახები. III სართულზე საკლასო ოთახები, ადმინისტრაციის კაბინეტი და განაყოფებისთვის განკუთვნილი ოთახები და 2 (ორი) კომპიუტერული ლაბორატორიაა განთავსებული. IV სართულზე ძირითადი და დამატებითი საკლასო ოთახები, ასევე დარბაზი. სკოლის შენობის მეორე ნაწილში სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და სხვა ძირითადი და დამხმარე სივრცეებია. სკოლის ეზოში გარე სპორტული მოედანია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში განთავსებულია თვალსაჩინოები. სკოლის საკლასო ოთახებში ვხვდებით მერხებს (სულ, სკოლას 672 მერხი აქვს) და სკამებს, კომპიუტერულ ტექნიკას და სხვა სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინვენტარს. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი წიგნები (სულ, 2800 ერთეული), პერიოდიკა და ა.შ. წიგნები დამუშავებულია კანონით დადგენილი წესით და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისთვის, რიგ შემთხვევებში, მშობლებისთვისაც. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები და ეფექტურად გამოიყენება მოსწავლეთა და მასწავლებელთა კომუნიკაციისთვის, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლის ორივე კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, გარე სპორტული მოედანი, დარბაზი სკოლის მიერ დაგეგმილი სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობების განხორციელებისთვის გამოიყენება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის გარემო სრულად ადაპტირებულია. დაწესებულების შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, შენობის სართულებზე გადასაადგილებლად სკოლას აქვს ლიფტი. თითოეულ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას - სკოლა, პოზიტიური გარემოთი, მრავალფეროვანი, მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული საქმიანობებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში. სასკოლო საზოგადოების მხრიდან ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, განხორციელებული ღონისძიებები ამის ნათელი მაგალითია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე, მხატვრული, სამეცნიერო ლიტერატურა, უცხოურენოვანი წიგნები. სკოლის ელექტრონული რესურსიც (87 პერსონალური და 13 პორტატული კომპიუტერი, 17 პრინტერი/ქსეროქსი, 22 პროექტორი, 21 ტელევიზორი, 2 პლანშეტური კომპიუტერი) განაპირობებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო/საგანმანათლებლო/შემეცნებითი მიზნებისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას ორი კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, გარე და შიდა სპორტული მოედანი აქვს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სასკოლო ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პერიოდული გამოცემის გამოწერის ხელშეკრულება;
- დომენის/ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;
- ელ. ჟურნალის მომსახურების ხელშეკრულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. კერძოდ, 87 პერსონალური და 13 პორტატული კომპიუტერი, 17 პრინტერი/ქსეროქსი, 22 პროექტორი, 21 ტელევიზორი, 2 პლანშეტური კომპიუტერი. ტექნოლოგიები ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ამას ადასტურებს სკოლის მიერ მოსწავლეთათვის შეთავაზებული რობოტიკის კურსიც, რომელიც საინტერესო და შემეცნებითია და ამავდროულად, ციფრული კომპეტენციების განვითარებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, სახელწოდებით შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება), რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების გენერალური დირექტორის 2016 წლის 02 სექტემბრის N1/32 ბრძანებით. წესის მე-8 მუხლი განსაზღვრავს სკოლის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი პირის (ტექნოლოგიების მასწავლებელი) ფუნქციებს, ასევე მოსწავლის პასუხისმგებლობებს ლაბორატორიის გამოყენების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ლაბორატორიის გამოყენების წესი;
- ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საქმისწარმოებას ახორციელებს დადგენილი წესის მიხედვით (შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის საქმისწარმოების წესი). წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის, ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს.სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სარეგისტრაციო ჟურნალებიც. კერძოდ, სკოლაში ვხვდებით მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია და აკინძულია სათანადო წესით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა ნასყიდობის ხელშეკრულება N00001, 14.07.2023წ., რომლის საფუძველზე დადგინდა, რომ **სკოლამ შეისყიდა დოკუმენტების მართვის ელექტრონული სისტემის ერთწლიანი ლიცენზია. ნასყიდობის საგნის გადაცემის ვადად განსაზღვრულია 2023 წლის სექტემბრამდე პერიოდი, თუმცა, ვიზიტის პერიოდში სკოლისთვის სისტემა არ იყო ხელმისაწვდომი.** სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების მონაცემები და სხვა საჭირო ინფორმაცია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.2.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.07.2023-20.07.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება სკოლის მართვისას.**

3. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილი. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე, ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულება თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ ხარისხის გავითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და ა.შ.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის საქმისწარმოების წესი;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ნასყიდობის ხელშეკრულება N00001, 14.07.2023წ.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებ. გვერდი https://logos.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ გვერდი ინფორმატიულია, მასზე წარმოდგენილი ინფორმაცია - საკანონმდებლო აქტები, განხორციელებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აქტივობები, დამატებითი მომსახურება უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის ინტერესის დაკმაყოფილებას. ყურადღებას იმსახურებს ვებ. გვერდის ის ველი, სადაც ჩანაწერების ციკლს „პოდკასტი შენთვის“ უძღვებიან სკოლის მენეჯმენტის წარმომადგენლები. განხილული თემები საინტერესო, აქტუალური და შინაარსობრივად დატვირთულია. აღსანიშნავია, რომ სოციალური ქსელში სკოლის მიმდევართა რაოდენობა 28 ათასს აღემატება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ის, რომ სკოლა ახორციელებს თავისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებს დადასტურდა სკოლის ვებ. გვერდის დათვალიერებისას. კერძოდ, სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების, დამატებითი და სავალდებუილო მომსახურეობის სახეების შესახებ დეტალურად აღწერს სკოლაში მიმდინარე პროცესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით ინტერვენციების დაგემვა. როგორც მშობლებთან საუბრისას გაირკვა, სკოლა ღიაა მათთვის, უყურაღებოდ არ ტოვებს და ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს თუ პოზიციას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლის ვებ. გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. როგორც უკვე აღინიშნა, ვებ. გვერდი ინფორმატიულია და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, დეტალურად აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებს, გასაჩივრების მექანიზმებს და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ. გვერდი https://logos.edu.ge/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. კერძოდ, სკოლის ფინანსური რესურსებია მოსწავლეებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სწავლის გადასახადი, აგრეთვე, ვაუჩერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაფინანსება. დაწესებულებას ჰყავს ფინანსური დირექტორი, რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს სახსრების სწორად და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, ფულადი სახსრებისა და მისთვის მინდობილი მატერიალური ფასეულობების დაცვა. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იყოს გამართული, უსაფრთხო, მოწესრიგებული, ხოლო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა საპროგნოზო მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს ფინანსური დირექტორი, უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვას, მართვასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წინა წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- ფინანსური ანგარიშგება.
- სკოლის ბიუჯეტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესი (დამტკიცებულია შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2023 წლის 07 ივნისის N1/52 ბრძანებით), საიდანაც კარგად ჩანს მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. მაგალითად, მოსწავლე უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლისაგან საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ, ჰქონდეს სწავლისათვის საჭირო პირობები და გარემო. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის - პრეზიდენტთა საბჭოს დებულება (დამტკიცებულია შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2022 წლის 19 სექტემბრის N1/76 ბრძანებით), რომლის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის ფუნქციონირებასა და მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. მოსწავლეთა თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იცავს და წარმოადგენს მოსწავლეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტებით, რომელიც მოქმედებს სკოლაში. სკოლის შინაგანაწესი მკაფიოდ აღწერს სასკოლო რეგულაციებს, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ასევე, გაზიარებულია სკოლის ვებ. გვერდზე - არის საჯარო და ხელმისაწვდომი დაინტერესებულ პირთათვის. სკოლის მიერ დამრიგებლების/დამრიგებელ-კოორდინატორების/კოორდინატორების მეშვეობით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის კოდექსის, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. კლასების დამრიგებლები/დამრიგებელ-კოორდინატორები/კოორდინატორები, გენერალური დირექტორის მოადგილეები რეგულარულად მართავენ მშობლებთან შეხვედრებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის მიზნით. ინტერვიურების პროცესში სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ეგზავნებათ ელ. ფოსტაზე შინაგანაწესი გასაცნობად. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებში მოსწავლეებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და პროცედურების შესახებ. გასაჩივრების პროცედურებთან დაკავშირებით ინფორმაცია ასევე, განთავსებულია სკოლის განახლებულ ვებ-გვერდზეც. წესი არის საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშები კლასების მიხედვით, სადაც გაწერილი აქვს მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე, სკოლის ვალდებულება მოსწავლესთან მიმართებაში. ხელშეკრულების თანახმად, მოსწავლე უფლებამოსილია: მიიღოს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის განათლება, პედაგოგთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, მიმართოს ადმინისტრაციას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გამოხატოს თავისი შეხედულება და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესი ;*
- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*
- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მშობელთან ურთიერთობის დებულება;*
- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;*
- *მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;*
- *სკოლის ვებ გვერდი და სოციალური გვერდი;*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო, კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები. შინაგანაწესის მე-11 თავი არეგულირებს სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობებს. 27-ე მუხლში წარმოდგენილია თუ რა საბუთები უნდა წარადგინოს მშობელმა, სხვა საგანმანათებლო დაწესებულებიდან მობილობის შემთხვევაში. მოსწავლის ჩარიცხვა ხდება მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებისა და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის საფუძველზე; მოსწავლის ჩარიცხვაზე მშობელს შეიძლება უარი ეთქვას, იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში მისაღებ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა ამოწურულია. შინაგანაწესი წარმოდგენილია სკოლის ვებ. გვერდზე და არის ხელმისაწვდომი და საჯარო. სკოლის ვებ. გვერდზე ასევე ჩაშენებულია გვერდი ,,მიღება" სადაც განმარტებულია "საერთაშორისო აკადემია ლოგოსში" სწავლების სხადასხვა საფეხურზე მოსწავლის მიღების პროცედურები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, სადაც გაწერილი აქვს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. როგორც სკოლის წარმომადგენლებთან, ისე მშობლებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. მაგ. მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირი სხვა კლასებში შეიძლება ჩაირიცხოს დირექტორის ბრძანებით, მშობლის განცხადების საფუძველზე, წინმსწრებ კლასში განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. სკოლაში სსსმ მოსწავლეების რეგისტრაცია ხორციელდება ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით და სსსმ მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილების საფუძველზე. მოსწავლის მიერ საბაზო ან საშუალო საფეხურის დაძლევა ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამის საფეხურზე შემავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საგნების დაძლევის შედეგად, რაც დადასტურდა სკოლის შიდა დოკუმენტაციით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე https://logos.edu.ge/ . სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუირების პროცესში აღინიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეთა მიღებისას იმართება ღია კარის დღეები, სადაც სკოლა აცნობს მათ შეთავაზებულ სერვისებს და პროგრამებს. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პირი „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე". **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
4. დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, სხვადასხვა სერვისებსა და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც საჯარო ინფორმაციას აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ინფორმაცია სკოლის შესახებ ატვირთულია სკოლის ვებ.გვერდზე. არის საჯარო, გამჭირვალე და არ შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესი;*
- *სკოლის ვებ გვერდი https://logos.edu.ge/;*
- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი ;*
- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მშობელთან დასადები ხელშეკრულების შაბლონი;*
- *ბრძანება „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე".*
- *შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ადაპტაციის წესი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (დამტკიცებულია შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2023 წლის 01 მაისის N1/36 ბრძანებით), რომელიც მოიცავს როგორც პირველკლასელთა ადაპტაციის ხელშემწყობ მექანიზმებს, ასევე, მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობას, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას. სსსმ მქონე ბავშვების რეგისტაციის შემთხვევაში, სკოლას გათვალისწინებული აქვს მოსწავლის საჭიროებები. ადაპტაციის წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. სკოლას დამატებითი სავალდებულო საგნის სახით შემოღებული აქვს საგანი „ფსიქოლოგის საათი“ და “პიროვნული განვითარების საათი”. აღნიშნული საგნების სწავლების მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეების ურთიერთგაცნობას, ერთმანეთთან დაახლოებასა და სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. ახალი მოსწავლის ადაპტაციის პროცესს კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ. ისინი აცნობენ მოსწავლეს სკოლის ინფრასტრუქტურას და სკოლაში მოქმედ რეგულაციებს, ეხმარებიან მათ თანატოლებთან პირველად კომუნიკაციაში. მოსწავლეთა ცენტრის ორგანიზებით, სასწავლო წლის პირველი დღე ტარდება განსხვავებული ფორმატით. ეწყობა გასვლითი აქტივობა ან სკოლის ეზოში საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების მიზანია სხვადასხვა სახალისო აქტივობების მეშვეობით “ყინულის გალღობა” და მოსწავლეთა დაახლოება. ცალკე ეწყობა დაწყებითი კლასებისა და პირველკლასელთა საზეიმო მიღება. აღნიშნულ დღეს კოორდინატორები და დამრიგებლები ასაკის შესაბამისი აქტივობებით ხვდებიან მოსწავლეებს. მოსწავლეებს საჩუქრების სახით ურიგდებათ საინტერესო აქსესუარები და სასწავლო ნივთები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ მეთოდურ მითითებებს, ამეორებინებენ მასალას.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართად, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის „თვის საუკეთესო მოსწავლის“, „სემესტრის საუკეთესო მოსწავლისა“ და „წლის საუკეთესო მოსწავლის“ წოდების მინიჭების შესახებ დებულება, რომლის მიზანია, მოსწავლეებს გაუჩინოს სწავლის მოტივაცია. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად იმსჯელეს აღნიშნული დებულების შინაარსობრივ ნაწილზე. კერძოდ, სკოლაში ,,აკადემიური სიძლიერის,, მიხედვით, მოსწავლეები გადანაწილებულნი არიან 3 კატეგორიაში I კატეგორია - თვის, სემესტრის, წლის მოსწავლე - ქულათა საშუალო არითმეტიკული - 10, II კატეგორია - თვის, სემესტრის, წლის მოსწავლე - ქულათა საშუალო არითმეტიკული - 9.8-9.9; III კატეგორია - ქულათა საშუალო არითმეტიკული 9,5-9,7. „თვის საუკეთესო მოსწავლის“, „სემესტრის საუკეთესო მოსწავლისა“ და „წლის საუკეთესო მოსწავლის“ წოდების მოსაპოვებლად საჭირო კრიტერიუმები, კი შემდეგია: აკადემიური სიძლიერე, გაკვეთილში ჩართულობა, მოტივაცია, პროგრესი, სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა. ექსპერტებმა კითხვით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, გათვალისწინებული იყო თუ არა იმ მოსწავლეების ინტერესები, რომელთაც არ ჰქონდათ უმაღლესი შეფასებები, თუმცა, აკადემიური პროგრესი მათ ძალისხმევაზე და გაწეულ შრომაზე მიუთითებდა. სკოლის დირექციის წევრებმა აქცენტი გააკეთეს კრიტერიუმების იმ ნაწილზე, რომელიც სწორედ მოსწავლის პროგრესს ითვალისწინებდა შეფასებისას. მათი განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვითაც, მედლის კანდიდატი მოსწავლეების გამოვლენა მათი აკადემიური მოსწრების შედეგების მიხედვით ხორციელდებოდა. **ექსპერტებმა რჩევით მიმართეს სკოლის წარმომადგენლებს, ვინაიდან, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მიხედვით მოსწავლეთა გადანაწილება რეიტინგულ სიებში ისედაც ხორციელდებოდა, შესაძლებელი იყო, სემესტრის, თვის, წლის მოსწავლის სტატუსის მინიჭებისას აქცენტი ,,აკადემიურ“ პროგრესზე შეეჩერებინათ. ექსპერტების აზრით, აღნიშნული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ცვლილება მძლავრი მოტივატორი იქნებოდა იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენენ სწავლის პროცესში, თუმცა, არ აქვთ უმაღლესი შეფასებები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება (დამტკიცებულია შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2022 წლის 06 სექტემბრის N1/54 ბრძანებით), რომლის მიზანსაც წარმოადგენს მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მშობელთა დროული ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
5. სკოლას წარმოდგენილი აქვს შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა ცენტრის, ასევე, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომელიც იცავს მოსწავლეთა ინტერესებს და მათ უფლებებს, საჭიროების შემთხვევაში, შუამდგომლობს მოსწავლეებს სკოლის მენეჯმენტთან, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების აქტიურ მუშაობას, მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში და სხვა. სკოლაში ფუნქციონორებს კლუბები და იმართება ღონისძიებები, შესაბამისი აქტივობები გამოქვეყნებულია სკოლის სოციალურ ქსელში და ვებ გვერდზე. მაგალითად, თამაშების დღე საინტერესო კლასგარეშე აქტივობაა და მიმართულია პოზიტიური გარემოს შექმნასა და მოსწავლეთა წახალისებაზე. როგორ ლოგოსის სტუდენტური ცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ლოგოსის ჭადრაკის მასწავლებლის ორგანიზებით მოეწყო ჭადრაკის ჩემპიონატი, სადაც ლოგოსელებმა მნიშნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. სკოლაში გამოიცემა ელექტრონული ჟურნალი ,,logos Vox'' რომელშიც აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის, კალათბურთის, დრამის, ხელოვნური ინტელექტის კლუბი . მოსწავლეთა ცენტრის ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება შემდეგი ღონისძიებები: Chrismas Fest - საახალწლო ფესტივალი, Halloween - შემოდგომის კარნავალი ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თამაშების დღე, Science Fair - მეცნიერებების გამოფენა, რა? სად? როდის? ეკო პროექტები და სხვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლა განსაზღვრავს ინტერვენციებს. წარმოდგენილი სარკისებური კითხვარი, კმაყოფილების კითხვარის ნიმუშები, ხვეწენ და აუმჯობესებენ სასწავლო პროცესს და მომსახურების ხარისხს. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას სპეციალურად შედგენილი მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარების მეშვეობით, რომლის ანალიზის საფუძველზეც, შესაძლებლობის ფარგლებში დგება გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა ცენტრის დებულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სარკისებური კითხვარის პროცედურა და ლინკები;
- კმაყოფილების კითხვარის ნიმუშები
- სკოლის ვებ გვერდი;
- სოციალური ქსელის გვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს College Counseling – ის კურსს, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს:

- ევროპასა და ამერიკაში უნივერსიტეტის შერჩევაში;
- დაფინანსების მოპოვებაში;
- სასურველ უნივერსიტეტთან კონტაქტის დამყარებაში;
- შესაბამისი განაცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება-გა გზავნაში.

მე-12 კლასის პირველი სემესტრის განმავლობაში თითოეულ მოსწავლეს ჰყავს ინდივიდუალური ქოლეჯ-ქაუნსლერი, რომლებთანაც სისტემატიური შეხვედრებისა და კონსულტაციების საფუძველზე, მოსწავლეები ქმნიან საკუთარ რეზიუმეებს, ავსებენ უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის განკუთვნილ აპლიკაციებს და შეიმუშავებენ პერსონალურ ესეებს და სამოტივაციო წერილებს. College Counseling – ის კურსის დახმარებით, ლოგოსის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ საქართველოს და მსოფლიოს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სრული ან ნაწილობრივი თანადაფინანსებით. სკოლაში ტარდება „ცხოვრებისეული უნარების გაკვეთილები“, რომელიც მოსწავლეებს ხელი უწყობს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენაში, ისინი ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. დაწესებულება აღნიშნულით ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული პროფესიის სწორად არჩევაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლის სოციალური ქსელის გვერდებიდან კარგად ჩანს, რომ დაწესებულება აქტიურად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს და მათ მშობლებს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. გაზიარებულია მოსწავლეთა წარმატებები, სკოლის დამრიგებლებისა და მასწავლებლების ინიციატივით სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციებს სამუშაო პროცესის სანახავად. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული იმართება დისკუსიები სამოქალაქო განათლების და ცხოვრებისეული უნარების გაკვეთილებზე. გარდა ამისა, სკოლის ორგანიზებით სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები მოსწავლეებთან მართავენ შეხვედრებს, სადაც ისინი მოსწავლეებს აცნობენ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებს. ასევე სოციალურ ქსელში და ვებ. გვერდზეც გავრცელებულია ,,პოდკასტი შენთვის '' მაგ. თემა "ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები". **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და გეგმავს შემდგომ ეფექტურ ღონისძიებებს ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს აღნიშნული მომსახურება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი;
- სოციალური გვერდი;
- პოდკასტი ,,ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი გაწერილი აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმაში. ასევე, დაწესებულებას შედგენილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის N1/65 ბრძანებით). ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი მოიცავს შიდა მონიტორინგის განხორციელების ამოცანებს, განსაზღვრავს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობას, მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს, ჯგუფის წევრთა უფლება-მოვალეობებს, მონიტორინგის შედეგებს. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სსსმ მოსწავლეები ინტეგრირებულები არიან სხვადასხვა კლასებში. სწავლება კი მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით. სკოლაში შექმნილია მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელიც მოიცავს სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის ძირითად ასპექტებს (მუხლი 5, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია). აღნიშნული წესი განსაზღვრავს მშობლის ინფორმირების მექანიზს - აუცილებელია სკოლის მხრიდან მშობლებმა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია, თუ რა დამხმარე სერვისებია სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა მქონე მოსწავლეები მხარდასაჭერად. ასევე, თუ რა კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები მუშაობენ სკოლაში, როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი, როგორ მოხდება ინდივიდუალური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გეგმით სწავლება, სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ადაპტაციის წესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი.

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა თავაზობს მოსწავლეებს კვების სერვისს, კვების ობიექტი რეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმინობათა რეესტრში და აქვს კვების პროდუქტების წარმოების უფლება, სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას აკონტროლებს სკოლის ექიმი. ტრანსპორტის მომსახურეობაში მოიაზრება სასკოლო ექსკურსიების მოწყობა. სასკოლო ექსკურსიები ეწყობა კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების დაცვით. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს, მაგალითად ფეხბურთის, კალათბურთის, დრამის, ხელოვნური ინტელექტის კლუბები. სკოლაში მოსწავლეთა ჩართულობით შექმნილია ლოგოსის ონლაინ გაზეთი. სკოლაში მოქმედი კლუბები წარმატებით ფუნქციონირებს, რასაც ადასტურებს აღნიშნულ კლუბებში ჩარიცხულ მოსწავლეთა მრავალრიცხოვნობა. მოსწავლეების მონაწილეობას ღებულობენ სპექტაკლებში. მათ ინტერვიუირების დროს აღნიშნეს რამდენად საინტერესო და სახალისო იყო სპექტაკლებში მონაწილეობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის შინაგანაწესის მიზანია სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა და ჩამოყალიბება. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება ასევე, მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხელშეკრულებებით. კერძოდ, გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში (მხარეები: სკოლა-მშობელი), ხოლო დასაქმებული უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოთი (მხარეები: სკოლა - დასაქმებული). შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება დაიცვას უსაფრთხოების წესები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ჩანს სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესები. საკითხთა სპექტრი, რომელზეც მოსწავლეებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა, სკოლის დირექციამ შეიძლება იმსჯელოს. ამ ყველაფერს ადასტურებს მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული გამოკითხვები, წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი. პედაგოგების მიერ შემუშავებულია მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, საინტერესო კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით შექმნილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოჩენილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები (სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპების, ინკლუზიური განათლების პრინციპების სახით), რომელიც მჭიდრო კავშირშია დაგეგმილ კურიკულუმებთან. საგნობრივ გეგმაში წარმოდგენილი კომპონენტები: სასწავლო თემები, საკითხები, რესურსები, შერჩეული კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმს სკოლა შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, სკოლის მენეჯმენტი და ადმინისტრაცია) ჩართულობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ადმინისტრაცია განსაზღვრავს კურიკულუმის შემადგენელ კომპონენტებს და წარუდგენს საგნობრივ კათედრებს, საგნობრივი კვირის გეგმების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე გაერთიანებული მასწავლებლების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმისა და კურიკულუმის კონცეპტუალურ ნაწილზე დაყრდნობით, სასკოლო საათობრივი ბადისა და სკოლის ფილოსოფიის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების შესაბამისად. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმებად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მონაცემების შესწავლა, გამოკითხვა, კვლევა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც ადასტურებს კურიკულუმის დაგეგმვის დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი, სადაც საუბარია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმებზე. სასკოლო საზოგადოების მხრიდან ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მონაცემების შეცვლა, კვლევა. პროცესი იმდენად კარგად არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მხრიდან, რომ შედეგების შეფასებაშიც ყველა მხარე თანაბრად არის ჩართული. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, გამოკითხვა, სოციალური მედია და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების დოკუმენტი;
- დაწყებითი საფეხურის კვირის გეგმები;
- კურიკულუმის დაგეგმვა/ანალიზის ფორმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 (პროექტი);

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს. იგი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება. აქტიურად ნერგავენ კოპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებს.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კვირის გეგმებში, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებებში დავალების პირობა იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სავალდებულო თემების შესწავლას, არამედ ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებასაც. ის მოითხოვს მოსწავლეთა მხრიდან შემოქმედებით პროცესებში აქტიურად ჩართვას, ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში, კრიტიკულად აზროვნებას, გლობალური მოქალაქისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს და სხვა . ასევე, კათედრებზე დიდ ყურადღებას უთმობენ არაფორმალურ განათლებას, სხვადასხვა პროექტებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიციური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიური ორიენტირები განსაზღვრავს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების გამოყენების პრინციპებს. აღიარებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალიზმი. სასწავლო პროცესი ეყრდნობა კონსტრუქტივისტული სწავლების მიდგომებს, სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება მისი პრინციპების გათვალისწინებით. გარემო განიხილება მოსწავლის მხარდამჭერ ორგანიზებულ სივრცედ, სადაც გათვალიწინებულია მისი შესაძლებლობები, საჭიროებები. სტრატეგიები ორიენტირებულია მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის მოცემული შეფასების მიზნები და ამოცანები, აღნიშნულია, რომ შეფასება ხორციელდება კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაყრდნობით, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას სხვადასხვა კონტექსტში. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი კომენტარი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს, არის ვალიდური და უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას. საგნობრივ კვირის გეგმებში არსებული შეფასების ინდიკატორების შინაარსის მიხედვით შესაძლებელია მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ ცოდნის კონსტრუირებაში, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და რეფლექსიაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი -კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას კათედრები ეყრდნობიან ასევე, სკოლის მენეჯმენტის, ადმინისტრაციისა და პედაგოგების გამოცდილებას, სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კვლევებს, მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვებს და ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.
- საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები/კვირის გეგმები ,
- თვითშეფასების ფორმა;
- შემაჯამებელი დავალების დადეგმვისა და ანალიზის ფორმა;

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კვირის გეგმების შესწავლისას იკვეთება, რომ კომპლექსური დავალებების პირობა იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის, არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრდება და სხვადასხვა ტიპის პროდუქის შექმნა (მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, ილუსტრირებული სახელმძღვანელო, პროექტი და სხვა...) ასევე გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან დადასტურდა, რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი, მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების ხელშემწყობი აქტივობები. კათედრებს გააზრებული აქვთ, რომ იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'', საჭიროა მასში ჩააშენონ პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თემა, ეს არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის დაგეგმვის და შეფასების დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმიდან, გასაუბრების შედეგების ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ კათედრებს გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს, რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე, კვირის გეგმებში და კომპლექსური დავალებების ბარათებში მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები მრავლადაა წარმოდგენილი მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც გეზის მიმცემად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. მეტაკოგნიციის განვითარებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დავალებების პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლე ადარებს მის დავალებას წინასწარ დასახულ კრიტერიუმებთან. სწავლის სწავლის ხელშესაწყობად საგნის კვირეულ გეგმებში გაწერილი შეფასების ინდიკატორები, მასწავლებლების მიერ უმეტეს შემთხვევაში გარდაიქმნება ხოლმე აქტივობებად, რა დროსაც მაქსიმალური ყურადღება ექცევა მოსწავლეების ინდივიდუალურ გამოცდილებას, რეფლექსიას საკუთარ შემეცნებით პროცესზე, განსავითარებელი მხარეების გაუმჯობესების სტრატეგიებზე. მასწავლებლებთან საუბარი ცხდყოფს, რომ მოსწავლეებისთვის პოზიტიური უკუკავშირით ცდილობენ დაეხმარონ მათ საკუთარი შესაძლებლობების გააზრებასა და შეფასებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე, ასევე კვირის გეგმებში ჩანს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა იმგვარადაა შედგენილი, ის თავის თავში მოიცავს ანალიზს, შედარებას, შეფასებას და სხვა მაღალ სააზროვნო უნარებს. ზოგადად ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება კვირის გეგმებში და კომპლექსური დავალებების პირობებში, ასევე არაფორმალური განათლების ელემენტები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ის ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებს სამივე ტიპის ცოდნას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. კვირის გეგმების სტრუქტურული ერთეულები: საკვანძო შეკითხვები, შედეგების ინდიკატორები, სამიზნე ცნება/მკვიდრი წარმოდგენები II-VI კლასებში შერჩეული კომპლექსური დავალებები ეხმარება მასწავლებელს, შესაბამის სასწავლო რესურსზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაყრდნობით, ხელი შეუწყოს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. V-VI კლასის შემაჯამებელი დავალებების დაგეგმვისა და ანალიზის ფორმაში წარმოდგენილი რუბრიკები მოსალოდნელ შედეგად მოიაზრებს მიზნობრივი მთლიანობის შექმნას ცოდნათა ურთიერთდაკავშირების საფუძველზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის
- საგნობრივი კვირის გეგმების ნიმუშები (საგნობრივი კურიკულუმი);
- სკოლის მოსწავლეების შეფასება/დახასიათების ფორმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კვირის გეგმებში გაწერილი თემები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე. კომპლექსურ დავალებები ორიენტირებულია ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავებაზე, კომპლექსური დავალების დაგეგმვა/ანალიზის ფორმა წარმოადგენს კარგ ინსტრუმენტს დაგეგმვისას ორიენტირებისთვის. საუბრისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები საგნობრივ დაგეგმვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასების დოკუმენტში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას და საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირებსა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს შეფასების მექანიზმები, გარდა ამისა მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (კითხვარი, დაკვირვების ფორმა და სხვა..) შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ფასდება არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ მისი ფსიქო-სოციალური განვითარება, შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია. დინამიკაში ხდება დაკვირვება და ამ დაკვირვების ანალიზით იგეგმება შემდგომი ინტერვენციები, რაც მოსწავლის უნარების განვითარებისაკენ არის მიმართული.

სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმით წარმოდგენილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპები, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტებს, აგრეთვე, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ოფიციალური სტატუსის მქონე ქულების გამოყვანის წესი, ტესტირების განმეორებით ჩატარების წესი, ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა. სკოლა წინასწარ ატყობინებს მოსწავლეებს და მშობლებს, შესაბამისად სკოლის მიერ დანერგილი შეფასების სისტება არის სანდო, მდგრადი ,რეალისტური და მიუკერძოებელია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომლის მიზანია სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. განსაზღვრულია ვერიფიკაციის ამოცანები და გასათვალისწინებელი საკითხები. დეტალურად არის აღწერილი ვერიფიკაციის პროცესი და მოსალოდნელი შედეგი. კერძოდ, ვერიფიკაციის მექანიზმის ამუშავების შედეგად შეფასების სისტემა უნდა პასუხობდეს ესგ-ით განსაზღვრულ პრონციპებს (ვალიდურიბა, გამჭვირვალეობა, ობიექტურობა, სამართლიანობა, სანდოობა). შედეგების ანალიზის შემდეგ, კი დაგეგმილია შესაბამისი პრევენციების განხორციელება.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები): სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნის კვირი გეგმები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კვირის გეგმების ნიმუშები (საგნობრივი კურიკულუმი);

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სადამრიგებლო პროგრამა) აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობების, მაგალითად, ფორმალური და არაფორმალური სასწავლო და სოციალური პროექტების განხორციელებას. სკოლას მოსწავლეებისათვის აქვს მათ საჭიროებებზე მორგებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. მოსწავლეების იდეების მხარდასაჭერად აქტიურად მუშაობენ კლასის კოორდინატორები და კოორდინატორ-დამრიგებლები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში ძირითად მეთოდურ ორიენტირად წარმოდგენილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა. დაგეგმილ კურიკულუმში (სასწავლო თემები, საკითხები, აქტივობები, რესურსები) ჩანს, რომ სწავლა-სწავლების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, ინტერესები, საჭიროებები. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერაქციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის სტრუქტურული ერთეულები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. საგნობრივი კვირის გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. კათედრის წევრები ხშირად ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს (ნაშრომები გამოკრულია თვალსაჩინოდ). ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ჩანს, რომ იცნობენ ერთმანეთის სამოქმედო გეგმებს, კომპლექსური დავალებების შინაარსს და მოსწავლეთა მიერ წარდგენილ პროდუქტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4.სკოლაში პოზიტიური საკლასო და სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმს წარმოადგენს როგორც სკოლაში მოქმედი ოფიციალური დოკუმენტები (შინაგანაწესი, სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი), ასევე მოქმედი ორგანოები: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა, მოქმედებს სხვადასხვა კლუბები, ხორციელდება პროექტები, მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში აქტიურად არის ჩართული კათედრები (ხორციელდება სხვადასხვა პროექტები დაწყებით საფეხურზე) რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგადაც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი;
  დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კვირის გეგმების ნიმუშები (საგნობრივი კურიკულუმი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის გახორციელების მონიტორინგის მექანიზმს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარების და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით; როგორ იქნება გამოყენებული მონაცემები სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის პროგრამის წარმატებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრესის შესახებ. პედაგოგები ახორციელებენ ჩატარებული კომპლექსური დავალებების ანალიზს, მოსწავლეთა შედეგებს ერთობლივად განიხილავენ, ახდენენ გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს, აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ გეგმას. სკოლას დანერგილი აქვს გამოკითხვის ფორმები პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლაში არსებული თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას. წარმოდგენილი მასალები (გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირი, კათედრის მუშაობის ამსახველი მასალა) წარმოაჩენს, რომ მონიტორინგის შედეგები და გასაუმჯობესებელი მხარეები მიემართება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება გულისხმობს წარსულ გამოცდილებაზე, სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვებიდან მიღებულ ინფომაციასა და სასკოლო საზოგადოების წევრთა შესაძლებლობებზე დაყრდნობით სხვადასხვა ინტერვენციების დაინტერსებულ მხარეთა ჩართულობით დაგეგმვასა და განხორციელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილ მასალებში იკვეთება და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება კიდეც, რომ მათ გათვითცნობიერებული აქვთ, მონიტორინგი და შეფასება, როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი აუცილებელი და საჭირო პროცესია, რის შედეგადაც ვლინდება როგორც ძლიერი ასევე სუსტი მხარეები და სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, როგორ გამოიყენოს ის პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებისათვის, შეფასება გამოიყენონ, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა შეფასების მიზნით იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (კითხვარები, დაკვირვების ფორმები, შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანი კრიტერიუმებით, მშობლთა კმაყოფილების კვლევა) ყოველივე ეს საშუალებას იძლევა შეგროვდეს მოსწავლეთა შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაცია და მოხდეს კომპლექსურად მათი შეფასება. შეფასების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, რაც უზრუნველყოფს შეფასებას მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მონაცემთა შეგროვება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებთან, სხვადასახვა მეთოდის გამოყენებით. შეფასება ხდება კურიკულუმის შემადგენელი თითოეული ნაწილისა და კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით და ეყრდნობა კურიკულუმის გახორციელების მონიტორინგის მექანიზმით მიღებულ ინფორმაციას, მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის წევრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, შემაჯამებელი დავალების ანალიზს, მასწავლებლის და მოსწავლის კითხვარებს, რომელშიც გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. საგნობრივი კათედრები იყენებენ მონაცემთა შეგროვების სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე რაოდენობრივი კველევის მეთოდებს. კათედრებს ჩატარებული აქვს კომპლექსური დავალებების ანალიზი, სასწავლო პროცესზე დაკვირვება. ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს - სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მონაცემების შესწავლა, გამოკითხვა, კვლევა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4 სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება ექცევა, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, რამდენად შეესაბამება სკოლის ფილოსოფიას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ ხორციელდება მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამების/აქტივობების ეფექტურობის ანალიზი; სკოლის ადმინისტრაციია ხედვით, სასწავლო გეგმის დაყოფა კვირეულ გეგმებად მეტად იძლევა დაკვირვების საშუალებას. სკოლა მუშაობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის შესაძლო ზეგავლენის დადგენას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალისწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროცესზე დაკვირვების შედეგები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
- სკოლის მოსწავლეების შეფასება/დახასიათების ფორმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვითარებისა და მხრდამჭერი სარეკომენდაციო პაკეტი. ითვალისწინებენ მიღწევების ანალიზს, თვითშეფასების საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურია თუნდაც კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი და წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი. ამ პროცესს ხელმძღვანელობს სკოლის დირექცია. პროცესში აქტიურად არიან ჩართულები საგნობრივი კათედრები, რაც დადასტურდა კათედრის მასწავლებლებთან შეხვედრის დროს. კურიკულუმში შესული მთავარი ცვლილებები აისახება საგნობრივ კვირის გეგმებში **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების და შესაძლებლობის გათვალისწინება. კურიკულუმს სკოლა შეიმუშავებს სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, სკოლის მენეჯმენტი და ადმინისტრაცია) ჩართულობით სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე დაყრდნობით. სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების,

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული გამოკითხვები, წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი. კათედრებზე პედაგოგების მიერ შემუშავებულია მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოჩენილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები (სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპების, ინკლუზიური განათლების პრინციპების სახით), რომელიც მჭიდრო კავშირშია დაგეგმილ კურიკულუმებთან. საგნობრივ კვირის გეგმებში ასახულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ინტერესები. სწავლა-სწავლების პროცესში სასწავლო მასალა, შუალედური მიზნები, რესურსები მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეთა ინტერესები გათვალისწინებულია კომპლექსური შინაარსის შემაჯამებელი დავალებების შესრულების ფორმის არჩევისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.კურიკულუმის დაგეგმვა, შეფასება და განხორციელების დოკუმენტის მეორე მუხლში გაწერილია ის ეტაპები, რასაც გადის სასკოლო კურიკულუმი. დაგეგმვა/განხორციელების პროცედურები დეტალურად არის გაწერილი. აქ კარგად არის გამოკვეთილი ადმინისტრაციის, კათედრების, თითოეული მასწავლებლის როლი. დოკუმენტის პირველადი ვერსიის გაცნობის შემდეგ ხდება უკუკავშირის მიღება, საგნობრივ კათედრებზე უკუკავშირების დამუშავება და ამის შემდეგ მტკიცდება საბოლოო დოკუმენტი. სასკოლო საზოგადოების ჩართულობისათვის გამოყენებულია ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა დაკვირვება, კვლევა, გამოკითხვა და სხვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. საბაზო საფეხურის 2022-2023 სასწავლო წლის საგნობრივი კვირის გეგმები გაზიარებულია სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის. კურიკულუმის გაზიარება მოხდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.: მაგ.: საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. ამისათვის სკოლა იყენებს მისთვის რელევანტურ საშუალებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების დოკუმენტი;
- საბაზო საფეხურის კვირის გეგმები;
- კურიკულუმის დაგეგმვა/ანალიზის ფორმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 (პროექტი);

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნები კი, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების შესაბამისად. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია კონსტრუქტივისტული პრინციპები, მოსწავლეს ეძლევა საშუალება მისთვის ნაცნობ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კონტექსტში წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა, მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, განუვითარდეს მეტაკოგნიტური უნარები, უპირატესობა ენიჭება იმგვარი ტიპის დავალებებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. მოსწავლის საჭიროებებსა და მზაობაზეა მორგებული ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. წარმოდგენილ კვირის გეგმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე (სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები). საშუალოვადიანი მიზნები თანხვედრაშია გრძელვადიან მიზნებთან. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები. კათედრის მიერ წარმოდგენილი დაგეგმილი კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის დაგეგმვის უნარები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში და არაფორმალური განათლების ამსახველ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სკოლაში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა - მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის გაკეთების საშუალება მათთვის შეთავაზებული ამა თუ იმ საკითხის შესწავლის, შედეგების წარმოდგენის, საკლასო თუ სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით. აღნიშნული გარემოება დადასტურდა მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. წარმოდგენილ კომპლექსური ტიპის დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეებს აქვთ დავალებაზე მუშაობის დროს ინიციატივის და არჩევანის თავისუფლება (მაგ; დავალების ფორმის არჩევაში). სკოლაში დანერგილია ინკლუზიური სწავლების კარგი პრაქტიკა, რაც დასტურდება ინდივინდუალური სასწავლო გეგმებით. მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული მრავალფეროვანი არაფორმალური განათლების აქტივობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები, ნათქვამია რომ შეფასება ხორციელდება კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაყრდნობით, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას სხვადასხვა კონტექსტში. საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება გამოიხატება ქულებით, განმავითარებელი კომენტარით და ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. -პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, ახალი სასწავლო კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებისა და პედაგოგთა ურთიერთდასწრების ანალიზი, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ შევსებული კითხვარები. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის შედეგებიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.
- საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები/კვირის გეგმები ,
- თვითშეფასების ფორმა;
- შემაჯამებელი დავალების დადეგმვისა და ანალიზის ფორმა;
- სასკოლო გეგმა, უცხო ენის კვირის გეგმები, კომპლექსური დავალების ბარათები, გასაუბრება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კვირის გეგმების შესწავლისას იკვეთება, რომ კომპლექსური დავალებების პირობა იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის, არამედ შემოქმედიც. მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა (მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი, პროექტი,

ილუსტრირებული სახელმძღვანელო და სხვა...) ასევე, გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან გაჟღერდა, რომ მათთვის უმთავრესი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი. აგრეთვე მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების ხელის შემწყობი აქტივობები. კათედრებს გააზრებული აქვთ, იმისათვის, რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა მასში ჩააშენონ პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა.

ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემა, როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებასა და გააზრებაში, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ფორმა და შინაარსი მოიაზრებს მოსწავლისთვის ნაცნობ ცხოვრებისეულ კონტექსტებს, დავალების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები, რესურსები, კონტექსტმაგალითები ხელს შეუწყობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახლის კონსტრუირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი მოცემულობა წარმოაჩენს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც გეზის მიმცემად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. მეტაკოგნიციის განვითარებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დავალებების პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლე ადარებს მის დავალებას წინასწარ დასახულ კრიტერიუმებთან.სწავლის სწავლის ხელშესაწყობად საგნის კვირეულ გეგმებში გაწერილი შეფასების ინდიკატორები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მასწავლებლების მიერ უმეტეს შემთხვევაში გარდაიქმნება ხოლმე აქტივობებად, რა დროსაც მაქსიმალური ყურადღება ექცევა მოსწავლეების ინდივიდუალურ გამოცდილებას, რეფლექსიას საკუთარ შემეცნებით პროცესზე, განსავითარებელი მხარეების გაუმჯობესების სტრატეგიებზე. მასწავლებლებთან საუბარი ცხადყოფს, რომ მოსწავლეებისთვის პოზიტიური უკუკავშირით ცდილობენ დაეხმარონ მათ საკუთარი შესაძლებლობების გააზრებასა და შეფასებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმის ჩარჩოები კარგი საშუალებაა დავინახოთ, რამდენად ჩანს სამივე კატეგორიის ცოდნა. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები პირდაპირ პასუხობს კონსტრუქტივიზმის პარადიგმის ამ პუნქტს. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებში იკვეთება, რომ შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, თეორიული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული არაფორმალური განათლების აქტივობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა ნათელ სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. ასევე აღსანიშნავია ინტერვიუზე მასწავლებლის მიერ გაზიარებული პრაქტიკა, თუ როგორ ხდება ცოდნების და უნარების თავმოყრა. აღნიშნულისთვის ყოველდღიურად გამოიყენება შეფასების ინდიკატორების შესაბამისი სხვადასხვა სასწავლო მეთოდი და ინტერაქტიური რესურსი, რათა მოსწავლემ პროცესში შეძლოს ქვესაკითხებთან დაკავშირებული პასუხის აღმოჩენა, მკვიდრი წარმოდგენის ჩამოყალიბება, შემოქმედებითი, ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებული დავალებებით კი ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.
- საგნობრივი კვირის გეგმების ნიმუშები (საგნობრივი კურიკულუმი);
- სკოლის მოსწავლეების შეფასება/დახასიათების ფორმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. კვირის გეგმებში გაწერილი თემები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე. კომპლექსური დავალებები დაგეგმილია ესგ-ს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. საუბრისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები კურიკულუმების დაგეგმვასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმი მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ასპექტებს. საკითხები, რესურსები, კონტექსტმაგალითები, კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, სასწავლო მასალა დაუკავშიროს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, გამოიტანოს დასკვნები, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა. ამგვარი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, რაც სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს შეფასების მექანიზმები. გარდა ამისა, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (კითხვარი, დაკვირვების ფორმა და სხვა..) შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ფასდება არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ მისი ფსიქო-სოციალური განვითარება,შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია. დინამიკაში ხდება დაკვირვება და ამ დაკვირვების ანალიზით იგეგმება შემდგომი ინტერვენციები, რაც მოსწავლის უნარების განვითარებისაკენ არის მიმართული.

სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4.სასკოლო სასწავლე გეგმაში მითითებულია, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს, საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენებს და შეფასებას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ოფიციალური სტატუსის მქონე ქულების გამოყვანის წესი, ტესტირების განმეორებით ჩატარების წესი, ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა. შესაბამისად დგინდება, რომ სკოლის მიერ დანერგილი შეფასების სისტება არის სანდო, მდგრადი და რეალისტური, ის სანდოა და მიუკერძოებელი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს შეფასების სიტემის ვერიფიკაციის წესი. ვერიფიკაციის ამოცანებად დასახულია მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობა სასკოლო კურიკულუმთან, მოსწავლეების მიღწევების ანალიზი და ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. კათედრებს განხორციელებული აქვს ფინალური გამოცდების სტატისტიკური ანალიზი, აგრეთვე შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი, რასაც ახორციელებენ სისტემატურად შემუშავებული ფორმის შესაბამისად (კომპლექსური დავალების დაგეგმვა/ანალიზის ფორმა); **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6…კანონის შესაბამისად, სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. სკოლა ხელმძღვანელობს ელექტრონული ჟურნალით. ამასთანავე, ინფორმაცია ასახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კვირის გეგმების ნიმუშები (საგნობრივი კურიკულუმი);

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სადამრიგებლო პროგრამა) აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობების, მაგალითად, ფორმალური და არაფორმალური სასწავლო და სოციალური პროექტების განხორციელებას. სკოლას მოსწავლეებისათვის აქვს მათ საჭიროებებზე მორგებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. მოსწავლეების იდეების მხარდასაჭერად აქტიურად არიან პროცესებში ჩართული კლასის კოორდინატორები და კოორდინატორ-დამრიგებლები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს კათედრების მიერ განხორციელებულ არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სასკოლო სასწავალო გეგმაში ძირითად მეთოდურ ორიენტირად წარმოდგენილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა. დაგეგმილ კურიკულუმში (სასწავლო თემები, საკითხები, აქტივობები, რესურსები) ჩანს, რომ სწავლა-სწავლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, ინტერესები, საჭიროებები, სწავლის სტილი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერაქციას. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შევსებული კითხვარები საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს მოსწავლეთა საჭიროებები და დაიგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები.

აქცენტი კეთდება არა ხარვეზემის მარკირებაზე, არამედ მოსწავლის მიღწევებზე. მოსწავლეებში წახალისების და მოტივაციის ამაღლების მიზნით განსაზღვრულია თვის, სემესტრის, წლის საუკეთესო მოსწავლის წოდების მინიჭების წესი. სკოლა ზრუნავს ყველა მოსწავლის, მათ შორის, მობილობის წესით გადმოსული ან ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლის თანაბარ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში (მოსწავლეთა ადაპტაციის წესი). სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ყველა საჭირო პირობა სასწავლო პროცესში ინტეგრაციისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. საგნობრივი კვირის გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. სკოლის პრაქტიკაში დანერგილია აქტივობა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რომლის ფარგლებშიც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. რომელიც ეფუძნება პოზიტიური უკუკავშირის მეთოდს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლაში პოზიტიური საკლასო და სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმს წარმოადგენს როგორც სკოლაში მოქმედი ოფიციალური დოკუმენტები (შინაგანაწესი, სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი), ასევე მოქმედი ორგანოები: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა, მოქმედებს სხვადასხვა კლუბები, ხორციელდება პროექტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში აქტიურად არის ჩართული კათედრა, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგადაც.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):სასკოლო სასწავლო გეგმა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კვირის გეგმების ნიმუშები (საგნობრივი კურიკულუმი)

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების დოკუმენტში სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის პრინციპები. მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა, განხორციელდა თუ არა საკლასო აქტივობები მიზნობრიობის შესაბამისად წინასწარ შემუშავებული აკადემიური კალენდრის ფარგლებში, რა სახის ცვლილებები შევიდა კვირის გეგმებში, რამდენად იქნა გათვალისწინებული მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. საგნის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილების შეფასების მექანიზმს წარმოადგენს სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და შესაბამისი უკუკავშირების დაგზავნა; მონიტორინგის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, რაზეც მიუთითებს წარმოდგენილი კითხვარები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.სკოლაში არსებული თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას. წარმოდგენილი მასალები (გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირი, კათედრის მუშაობის ამსახველი მასალა) წარმოაჩენს, რომ მონიტორინგის შედეგები და გასაუმჯობესებელი მხარეები მიემართება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება გულისხმობს წარსულ გამოცდილებაზე, სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვებიდან მიღებულ ინფორმაციასა და სასკოლო საზოგადოების წევრთა შესაძლებლობებზე დაყრდნობით სხვადასხვა ინტერვენციების დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით დაგეგმვასა და განხორციელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კათედრებზე თანამშრომლობის ფარგლებში მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კვირის გეგმების ეფექტიანობაზე, სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, ახდენენ მოდიფიცირებას. აქედან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება ესგ შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პრობლემების გადასაჭრელად; ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა გულისხმობს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას კათედრის წევრების მიერ ერთობლივად არის შემუშავებული მონაცემთა შეგროვების მექანიზმები/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინსტრუმენტები (კითხვარები, კვლევები, რუბრიკები), რომელიც ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

2. სკოლაში მოქმედებს კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი, რომელშიც განსაზღვრულია მონიტორინგის პროცეში ჩართული მხარეები (სკოლის მენეჯმენტი, ადმინისტრაცია, პედგოგები, მოსწავლეები, მშობლები) და განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესწავლის მექანიზმები (სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მონაცემების შესწავლა, გამოკითხვა, კვლევა). შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობამ და შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებამ უნდა უზრუნველყოს დანერგვის პროცესის შეფასება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. კათედრებს ჩატარებული აქვს გამოკითხვები სარკისებრი კითხვარებით, პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ატარებენ კომპლექსური დავალებების შესრულების ანალიზს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შეფასებას აქვს კონტექსტური ბუნება, მასწავლებლები მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას იღებენ მშობლებისგან, კლასელებისგან, სასკოლო საზოგადოებისგან, სხვა საგნის მასწავლებლებისგან. აღნიშნული საშუალებას აძლევს სკოლას, რომ შეფასება განახორციელოს მრავალფეროვანი კონტექსტის გამოყენებით. აღნიშნული სწავლის ეფექტურობის გაზრდას უწყობს ხელს. გამოყენებულია დაკვირვების ფორმა, ჩეკლისტი, კითხვარები, მშობელთა უკუკავშირი **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება ექცევა, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, რამდენად შეესაბამება სკოლის ფილოსოფიას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროცესზე დაკვირვების შედეგები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
- სკოლის მოსწავლეების შეფასება/დახასიათების ფორმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად;**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. კოლეგების აღწერილობით, გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც, ანუ ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. პედაგოგები/ადმინისტრაცია საუბრობენ წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაზე, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობაზე სამომავლოდ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებსა და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ჩანს სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესები, საკითხთა სპექტრი, რომელზეც მოსწავლეებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა, სკოლის დირექციამ შეიძლება იმსჯელოს; მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის; ამ ყველაფერს ადასტურებს მშობლებთან და მოსწავლეებთან ჩატარებული გამოკითხვები, წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი. პედაგოგების მიერ შემუშავებულია მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, საინტერესო კონტექსტმაგალითებზე დაყრდნობით შექმნილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კ**ურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; ცხადად ჩანს, რომ მისია/ხედვა/ღირებულებებზე და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით სკოლა მკაფიოდ გამოკვეთს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს და კურიკულუმის სტრუქტურულ ერთეულებზე და დანერგვის ინსტრუმენტებზე დაყრდნობით მკაფიოდ აღწერს ამ პრიორიტეტების რეალიზების გზებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.კურიკულუმს სკოლა შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, სკოლის მენეჯმენტი და ადმინისტრაცია) ჩართულობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ადმინისტრაცია განსაზღვრავს კურიკულუმის შემადგენელ კომპონენტებს და წარუდგენს საგნობრივ კათედრებს, საგნობრივი კვირის გეგმების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრებზე გაერთიანებული მასწავლებლების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმისა და კურიკულუმის კონცეპტუალურ ნაწილზე დაყრდნობით, სასკოლო საათობრივი ბადისა და სკოლის ფილოსოფიის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების შესაბამისად.დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმებად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მონაცემების შესწავლა, გამოკითხვა, კვლევა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. საშუალო საფეხურის 2022-2023 სასწავლო წლის საგნობრივი კვირის გეგმები გაზიარებულია სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის. კურიკულუმის გაზიარება მოხდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.: მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. ამისათვის სკოლა იყენებს მისთვის რელევანტური საშუალებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების დოკუმენტი;
- საშუალო საფეხურის კვირის გეგმები;
- კურიკულუმის დაგეგმვა/ანალიზის ფორმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 (პროექტი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში (კვირის გეგმებში) ასახულია სავალდებულო თემები, აგრეთვე რომელი საგნობრივი საკითხები რომელ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულად ისწავლება. სასურველია კურიკულუმებში კომპლექსური/ კომპლექსური ტიპის დავალებების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ განვითარებას. მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა გეგმავს სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების ჩატარებას. (მაგ; გასვლითი ვიზიტები) დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას შეისწავლონ თეორია, გამოიტანონ კონკრეტული დასკვნები, გამოიმუშაონ უნარები და ჩამოუყალიბდეთ ინდივიდუალური დამოკიდებულებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში (კვირის გეგმებში) თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, რაც მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კურიკულუმის შექმნისას. აღნიშნული სამიზნე ცნებების ნაწილი მუშავდება კომპლექსური ტიპის დავალებებით. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ახალ სასწავლო წლამდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

იმუშავებდნენ კურიკულუმის დახვეწაზე სამიზნე ცნებების და კომპლექსური დავალების მიმართულებით. გარდა ამისა, მუშავდება ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. კვირის გეგმებში გაწერილი ცნებები, სამიზნე ცნებები, შედეგები და შეფასების ინდიკატორები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა - მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის გაკეთების საშუალება მათთვის შეთავაზებული ამა თუ იმ საკითხის შესწავლის, შესწავლის შედეგების წარმოდგენის, საკლასო თუ სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელების მიმართულებით. სკოლაში დანერგილია ინკლუზიური სწავლების კარგი პრაქტიკა, რაც დასტურდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4.სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები, აღნიშნულია, რომ შეფასება ხორციელდება კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაყრდნობით, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას სხვადასხვა კონტექსტში. საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება გამოიხატება ქულებით, განმავითარებელი კომენტარით და ის ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სასკოლო გეგმის იმ ნაწილიდან, სადაც აღწერილია განმავითარებელი შეფასების მიზნები, ახსნილია, რომ კათედრა განმავითარებელ შეფასებას იყენებს წინარე ცოდნის დიაგნოსტირების მიზნი.

შემდგომში ამ მონაცემების ანალიზი ხორციელდება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. შეფასების რუბრიკები იმგვარად არის შედგენილი, რომ ის უზრუნველყოფს არსებული ცოდნის დადგენას, ასევევ უკუკავშირის ფორმებიც ხელს უწყობს კათედრას დაადგონოს მოსწავლეთა ცოდნის აქტუალური დონე. გასაუბრების ეტაპზე კათედრამ ახსნა, თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

როგორ იყენებს ცოდნის დიაგნოსტირებას სასწავლო პროცესისი წარმატებით განხორციელებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.
- საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები/კვირის გეგმები ,
- თვითშეფასების ფორმა;
- შემაჯამებელი დავალების დადეგმვისა და ანალიზის ფორმა;
- სასკოლო გეგმა, უცხო ენის კვირის გეგმები, კომპლექსური დავალების ბარათები, გასაუბრება , შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კვირის გეგმების შესწავლისას იკვეთება, რომ კომპლექსური დავალებების პირობა იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესისი არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა (მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი და სხვა...) ასევე გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან გაჟღერდა, რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი, მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების ხელშემწყობი აქტივობები. კათედრას გააზრებული აქვს, იმისათვის, რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა მასში ჩააშენონ პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემა, როგორც ნაცნობი კონტექსტი, ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გააზრებაში, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ფორმა და შინაარსი მოიაზრებს მოსწავლისთვის ნაცნობ ცხოვრებისეულ კონტექსტებს, დავალების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები, რესურსები, კონტექსტმაგალითები ხელს შეუწყობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახლის კონსტრუირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი მოცემულობა წარმოაჩენს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც გეზის მიმცემად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. მეტაკოგნიციის განვითარებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დავალების პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლე ადარებს მის დავალებას წინასწარ დასახულ კრიტერიუმებთან. სწავლის სწავლის ხელშესაწყობად საგნის კვირეულ გეგმებში გაწერილი შეფასების ინდიკატორები, მასწავლებლების მიერ უმეტეს შემთხვევაში გარდაიქმნება ხოლმე აქტივობებად, რა დროსაც მაქსიმალური ყურადღება ექცევა მოსწავლეების ინდივიდუალურ გამოცდილებას, რეფლექსიას საკუთარ შემეცნებით პროცესზე, განსავითარებელი მხარეების გაუმჯობესების სტრატეგიებზე. მასწავლებლებთან საუბარი ცხდყოფს, რომ მოსწავლეებისთვის პოზიტიური უკუკავშირით ცდილობენ დაეხმარონ მათ საკუთარი შესაძლებლობების გააზრებასა და შეფასებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კათედრების მიერ დაგეგმილი კურიკულუმები ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. შემაჯამებელი დავალებების დაგეგმვისა და ანალიზის ფორმებში იკვეთება, რომ შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული არაფორმალური განათლების აქტივობები **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5.კურიკულუმში მკაფიოდ არის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მიიღწევა შესაბამისი ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ურთიერთდაკავშირებულად დამუშავების შედეგად. კომპლექსური დავალების ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები დაგეგმილია იმგვარად, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის სახით შეძლოს მიზნობრივი მთლიანობის შექმნა და საგნობრივი საკითხების ურთიერთდაკავშირებულად წარმოჩენა. დავალების კრიტერიუმებიც მოსალოდნელ შედეგად სწორედ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას მოიაზრებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კვირის გეგმების ნიმუშები (საგნობრივი კურიკულუმი);
- სკოლის მოსწავლეების შეფასება/დახასიათების ფორმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმები (კვირის გეგმები), რომლებიც შექმნილია კათედრის მიერ, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას მათ შორის კურიკულუმში მითითებული კომპლექსური/კომპლექსური ტიპის დავალებების საშუალებით. სხვადასხვა საგნობრივი კონტექსტებით მოსწავლეები იაზრებენ მკვიდრს წარმოდგენებს და იღებენ სიღრმისეულ ცოდნას. კათედრები მონაწილეობენ სკოლის მიერ დაგეგმილ არაფორმალური განათლების აქტივობებში, რომლებიც ასევე მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ზოგად ფუნქციურ უნარებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები და მათ დასაფარად შერჩეული საკითხები/ქვესაკითხები/კომპლექსური დავალებები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწავლეთა საჭიროებების საპასუხოდ დაგეგმილი ღონისძიებები, აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს, რომ მათ შეძლონ საკუთარი ემოციების, ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა; საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვა სასურველი მიზნების მისაღწევად. აღნიშნული აქცენტები უფრო ცხადი გახდა პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების მექანიზმები, გარდა ამისა მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი (კითხვარი, დაკვირვების ფორმა და სხვა..) შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ფასდება არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ მისი ფსიქო-სოციალური განვითარება, შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია. დინამიკაში ხდება დაკვირვება და ამ დაკვირვების ანალიზით იგეგმება შემდგომი ინტერვენციები, რაც მოსწავლის უნარების განვითარებისაკენ არის მიმართული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით (ჰოლისტური). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4.სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპები, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას, გაცდენები და შეფასება, გამოცდის ტიპებს, მოსწავლის აკადემიური მიღწევებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ოფიციალური სტატუსის მქონე ქულების გამოყვანის წესი, ტესტირების განმეორებით ჩატარების წესი, ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა. შესაბამისად დგინდება, რომ სკოლის მიერ დანერგილი შეფასების სისტება არის სანდო, მდგრადი და რეალისტური, ის სანდოა და მიუკერძოებელი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5.სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომლის მიზანია სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. განსაზღვრულია ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ამოცანები და გასათვალისწინებელი საკითხები. დეტალურად არის აღწერილი ვერიფიკაციის პროცესი და მოსალოდნელი შედეგი. კერძოდ, ვერიფიკაციის მექანიზმის ამუშავების შედეგად შეფასების სისტემა უნდა პასუხობდეს ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს (ვალიდურობა, გამჭვირვალეობა, ობიექტურობა, სამართლიანობა, სანდოობა). შედეგების ანალიზის შემდეგ კი დაგეგმილია შესაბამისი პრევენციების განხორციელება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6.კანონის შესაბამისად, სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. სკოლა ხელმძღვანელობს ელექტრონული ჟურნალით. ამასთანავე, ინფორმაცია ასახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; H
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კვირის გეგმების ნიმუშები (საგნობრივი კურიკულუმი);

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშრომლობით, შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე. კოლეგებს შორის ურთიერთდასწრება და უკუკავშირის ნიმუშები, მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის კმაყოფილების კითხვარები ცხადყოფს, რომ სკოლა ზრუნავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2.სასკოლო სასწავალო გეგმაში ძირითად მეთოდურ ორიენტირად წარმოდგენილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა. დაგეგმილ კურიკულუმში (სასწავლო თემები, საკითხები, აქტივობები, რესურსები) ჩანს, რომ სწავლა-სწავლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, ინტერესები, საჭიროებები, სწავლის სტილი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერაქციას. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შევსებული კითხვარები საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს მოსწავლეთა საჭიროებები და დაიგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. აქცენტი კეთდება არა ხარვეზემის მარკირებაზე, არამედ მოსწავლის მიღწევებზე. მოსწავლეებში წახალისების და მოტივაციის ამაღლების მიზნით განსაზღვრულია თვის, სემესტრის, წლის საუკეთესო მოსწავლის წოდების მინიჭების წესი. სკოლა ზრუნავს ყველა მოსწავლის, მათ შორის, მობილობის წესით გადმოსული ან ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლის თანაბარ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში (მოსწავლეთა ადაპტაციის წესი). სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ყველა საჭირო პირობა სასწავლო პროცესში ინტეგრაციისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3.სკოლის სტრუქტურული ერთეულები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ გაწეული საქმიანობის მონიტორინგის და შეფასების გამოცდილება. სასწავლო პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თანამშრომლობა თანამშრომლობა გამოიხატება მრავალი ფორმით. მაგ: სკოლაში ფუნქციონირებს ,,კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, გაკვეთილებზე დასწრების და უკუკავშირის მიცემის პრაქტიკა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე, ასევე, მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი უამრავი საინტერესო პროდუქტის გაანალიზებით დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. სკოლის შინაგანაწესის, სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებისა თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულების შინაარსი ორიენტირებულია საკლასო და სასკოლო პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგანმანათლებლო გარემო ორიენტირებულია თავისუფალი აზრის დაფიქსირებაზე, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასკოლო საზოგადოებას სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა ჰქონდეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კვირის გეგმების ნიმუშები (საგნობრივი კურიკულუმი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რისთვისაც შემუშავებული აქვს სპეციალური დოკუმენტი. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების დროს ყურადღება ექცევა მრავალ ასპექტს : მაგ; საკლასო და სასკოლო აქტივობები განხორციელდა თუ არა შესაბამისი კონცეფციების/მიზნობრიობის შესაბამისად; კონცეფციების/მიზნობრიობის შესაბამისი აქტივობები განხორციელდა თუ არა სკოლის მიერ წინასწარ შემუშავებული აკადემიური კალენდრის ფარგლებში; რომელმა საგნობრივმა კათედრამ შეიტანა ცვლილება საგნობრივ კვირის გეგმაში და როგორ შეუწყო ხელი კონცეფციებისა და მიზნობრიობის შესაბამისი აქტივობების განხორციელებას. განსაზღვრულია სამსახურებრივი ინსტრუქციები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია აღნიშნული პროცესის განხორციელება, შედეგების შეფასება და შემდეგი წლის კურიკულუმის დაგეგმვაში შესაბამისი საკითხების გათვალისწინება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. თავად პროცედურა გულისმხობს, როგორც სწავლების მიმდინარეობის ეფექტურობის გაზრდას, ასევე მასში ჩართული პირების

მხარდაჭერასა და კონსტრუქციული უკუკავშირით გასავითარებელ მხარეებზე ყურადღების გამახვილებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმის მონიტორინგი ემსახურება პრობლემების აღმოჩენასა და გადაჭრას, ამ მიზნით სკოლაში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ხდება სასწავლო პროცესებზე დაკვირვება, კონკრეტული პირების ზოგად და ფოკუსირებულ ინტერვიუირება, მონაცემთა შესწავლა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება აღმოჩენილი პრობლემების გადასაჭრელად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლა შეფასების მიზნით იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. (კითხვარები, დაკვირვების ფორმები, შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანი კრიტერიუმებით, მშობლთა კმაყოფილების კვლევა) ყოველივე ეს საშუალებას იძლევა შეგროვდეს მოსწავლეთა შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაცია და მოხდეს კომპლექსურად მათი შეფასება. შეფასების პროცესში ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი, რაც უზრუნველყოფს შეფასებას მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების ხარისხის გაზრდის მიზნით ინფორმაციებს ღებულობს სხვადასხვა წყაროებიდან. ინფორმაციის ანალიზის მიზნით იყენებს სხვადასხვა მეთოდს. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ე.წ. სარკისებური თვითშეფასების კითხვარების გამოყენება. კითხვებს ავსებენ მასწავლებლები კონკრეტულ კლასთან მიმართებაში და იმავე კლასის მოსწავლეები, შემდეგ მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავება. სკოლა სასწავლო პროცესის შეფასების მნიშვნელოვან კონტექსტად მიიჩნევს სასკოლო კურიკულუმს, რომელსაც მუდმივად განიხილავს და ყოველწლიურად შეაქვს კონცეპტუალური ხასიათის ცვლილებები.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარებ**ი** (მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი, მოსწავლის მიერ მასწავლებლის შეფასების კითხვარი, სარკისებრი კითხვარი) მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი, ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიუირება და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება ექცევა, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, რამდენად შეესაბამება სკოლის ფილოსოფიას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ ხორციელდება მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამების/აქტივობების ეფექტურობის ანალიზი; სკოლის

კურსდამთავრებულთა შედეგების ანალიზი და ა.შ. სკოლა მუშაობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენს სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლების შეფასებისას ცდილობენ გათვალისწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროცესზე დაკვირვების შედეგები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შედეგები;
- სკოლის მოსწავლეების შეფასება/დახასიათების ფორმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სახელმწიფო ენა :ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმის განვითარება ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესულ ცვლილებებსა და სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებით მიღებულ ინფორმაციას. საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლები ახდენენ როგორც საკუთარი საქმიანობის ანალიზს, ასევე აქტიურად მონაწილეობენ ერთიანი სტრატეგიის შემუშავებაში. მოპოვებული და გაანალიზებული ინფორმაციები აისახება კათედრის სამოქმედო გეგმაში, კვირის გეგმებში, სასკოლო სასწავლო გეგმებში. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრები ახდენენ წარმატებული თუ პრობლემური მაგალითების განზოგადებას და სათანადო დასკვნების გამოტანას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი და სხვა შესაბამისი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი. ამ პროცესს ხელმძღვანელობს სკოლის დირექცია. პროცესში აქტიურად არიან ჩართულები საგნობრივი კათედრები. კურიკულუმში შესული მთავარი ცვლილებები აისახება საგნობრივ კვირის გეგმებში . **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის კურიკულუმების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნა: 127 (ასოცდაშვიდი) გვერდი;
დანართი: 20 (ოცი) გვერდი.

22.08.2023წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------